



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ბაღნარის ჰიდროელექტროსადგური

ბაღნარის ჰიდროელექტროსადგური (ბაღნარჰესი), ბ. ჰ-ის მშენებლობა დაიწყო 1974 კურორტ გაგრის ახლოს, მდ. ნაკადულზე.

ბ. ჰ. მაღალი დანწევის დერივაციული ტიპის ჰესია. კაშხალის სიგრძეა 15 მ, სიმაღლე – 3,7 მ. სადგური შედგება სათავო ნაგებობისაგან, უდანწეო გვირაბისაგან (სიგრძე – 1548 მ), სადანწეო მილგამტარისა და ელექტროსადგურისაგან. ჰესის დანწევა 190 მ-ია, სიმძლავრე – 1600 კვტ; ელექტროსადგურში ორი ჰიდროაგრეგატია. დადგმული სიმძლავრის გამოყენების კოეფიციენტი 0,79 საშ. წლ. გამომუშავება – 11 მლნ. კვტ-სთ.

ამჟამად ჰესი მდებარეობს ოკუპირებულ ტერიტორიაზე.

ი. ჯიქია
